

## ტურიზმის განათლება საქართველოში

მარიამ მერებაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლაში ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან მამაცაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების  
დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2014 წელი

## ანოტაცია

საერთაშორისო მასპინძლობის ინდუსტრია უკვე არნახულ მასშტაბებს აღწევს შემოსავლებისა და შეთავაზებული სერვისებით. საქართველოშიც ტურიზმი ყოველწელს უფრო დიდი მასშტაბებს აღწევს და განვითარების მხრივაც ინარჩუნებს ყოველწლიურ მზრდად ტენდენციას. მსოფლიოს მასშტაბით, 305 მილიონი ადამიანია დასაქმებული მასპინძლობის ინდუსტრიაში და მსოფლიო შიდა პროდუქტის 11.4% შეადგენს, 2010 წელს მასპინძლობის ინდუსტრიაში მიღებულმა მთლიანმა სარგებელმა 1.55 ტრილიონი შეადგინა.

მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრია თანდათან ხდება ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად მზარდი სფერო, რაც ასევე მოითხოვს საჭირო განათლებასა და მომზადებას, რადგან მასპინძლობის სფერო მზად იყოს მის წინაშე არსებული გამოწვევების წინაშე. საჭიროა ინოვაციურად მოაზროვნე, ლიდერული უნარ-ჩვევების მქონე კადრები, რომელთა ჩამოყალიბებაც ხდება მაღალი ხარისხის განათლებითა და სწორად დაგეგმილი სასწავლო პროგრამებით. ტურიზმის მენეჯმენტის უმაღლესი განათლება, პროფესიული სასწავლებლები და სხვადასხვა ტრენინგ კურსები, მუდმივად მზარდი ელემენტია, კონკურენტულ სფეროში. მიუხედავად ამისა, ტურიზმის მენეჯმენტის განათლება ვერ პასუხობს და ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

ნათელია რომ ტურიზმის მენეჯმენტის განათლება ფუნდამენტური საწინდარია ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით უამრავი პუბლიკაცია და ანგარიში გამოქვეყნდა, სადაც აღწერილია განათლების პროგრამები, მოყვანილია შედარებები. სამწუხაროდ, სულ რამდენიმე მათგანშია წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა რეგულირდებოდეს ტურიზმის მენეჯმენტის განათლება ეროვნულ დონეზე. ეს ნაშრომი ვერ შეავსებს ამ სივრცეს, თუმცა მისი მიზანია კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას ამ მხრივ, აღწერილ იქნას ყველა ის დაწესებულება რომელიც სთავაზობს განათლებას ამ მხრივ, განხილულ იქნას მათი

პროგრამები. ნაშრომში განხილული იქნება ძირითად სირთულეები და მათი გამომწვევი მიზეზები. კვლევების შედეგად შედგება ჩამონათვალი რიგი ღონისძიებებისა, რაც გააუმჯობესებს სისტემას, რადიკალური ცვლილებების გარეშე.

მოცემულ ნაშრომში აღწერილი იქნება თუ როგორია მოთხოვნა ტურიზმის განათლებაზე, რითია განპირობებული ის; უშუალოდ განათლების ხარისხი, მეთოდები და მათი ფორმები (უმაღლესი, პროფესიული, მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები); რა შესაძლებლობებს იძლევა მიღებული განათლება, რა კარიერული ზრდის შესაძლებლობები და პერსპექტივები აქვს ადამიანს ტურიზმის მენეჯმენტის განათლებით; რას ელოდებიან უშუალოდ სტუდენტები ამ მოდულის განათლებით და რაც მთავარია, რას ელოდება სახელმწიფო და თითოეული სასწავლებელი სტუდენტისაგან.

## **Annotation**

International hospitality industry keeps growing up and already have reached enormous number of income and offered services. Every year tourism in Georgia reaches a larger scale and keeps dynamic increase. In the world 305 million people works in hospitality industry and appears as 11.4% of worlds GDP. In 2010, profit of hospitality industry was 1.55 trillion USD.

Hospitality industry gradually becomes one of the most dynamically growing sector, which also demands required education and skills, to be ready to face challenges. It is necessary to think innovative, to gain leadership skills, to have high motivation. The development of these skills needs high-quality education and properly planed curriculum.

It is obvious that Tourism education maintains the development of tourism industry. During last decade was published many publications describing tourism education and giving recommendations for better curriculum. Unfortunately just few of them tell us, what kind of regulations government should make, to provide higher quality of education. This thesis can't feel the empty space, but the aim of it is to make another step ahead. Will be described high

education institutions, which provides tourism education, their programs. In the thesis will be described difficulties and their causes. The survey will help us to find out the main development hampering, and to create a strategy how to make the higher education more profitable.

In the thesis will be discussed how is the demand about education of tourism, their causes, quality of education, methods and forms (high education, trainings, secondary); what possibilities gives us education in tourism, what expectation students have from the tourism education.